



გულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

ბრძანება

N 408
29/06/2023

შპს „დელოიტი და ტუში“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

შპს „დელოიტი და ტუში“ (ს/ნ 204422240, იურიდიული მის.: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N12, საოფისე ფართი N47, სართული 15, ბლოკი „ბ“) (შემდგომში - ფირმა) აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში აუდიტორულ ფირმად რეგისტრირებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) უფროსის ბრძანებით და მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-107265.

„შპს „დელოიტი და ტუში“-ს ხარისხის მართვის სისტემის სრული (კომპლექსური) მონიტორინგის დაწყების თაობაზე“ სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის N119 ბრძანების საფუძველზე დაიწყო ფირმის ხარისხის მართვის სისტემის სრული (კომპლექსური) მონიტორინგი (შემდგომში - მონიტორინგი).

2023 წლის 15 ივნისს ფირმის მიერ წარმოდგენილია განცხადება და ინფორმაცია ფირმის გარიგებების (აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) გარიგებები) თაობაზე (სამსახურში რეგისტრაციის N103316/16, 16.06.2023).

მონიტორინგის პროცესში, ფირმის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ინფორმაციის (სამსახურში რეგისტრაციის N103316/16, 16.06.2023) და საჯარო ინფორმაციის წყაროებიდან მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (შემდგომში - სდპ) სტატუსის მქონე სუბიექტის - [REDACTED]

[REDACTED] 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების ფარგლებში გარიგების პარტნიორს წარმოადგენდა და ფირმის სახელით მოქმედებდა (მათ შორის, აუდიტორული დასკვნა ხელმოწერით დაადასტურა) ფირმის გარიგების პარტნიორი - შოთა ნანიტაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-957146), მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის გავლის შედეგად არის შესაძლებელი გარიგების პარტნიორმა მოიპოვოს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, ხოლო შოთა ნანიტაშვილს (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-957146) ზემოთ აღნიშნული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას არ გააჩნდა აღნიშნული უფლებამოსილება.

კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი წესით განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც გაიარა შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი, ხოლო „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - მონიტორინგის წესი)

21-ე მუხლის 3³ პუნქტის თანახმად, სდპ-ისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა და მის გარიგების პარტნიორს, რომელსაც სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიენიჭა სდპ-ისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება.

2023 წლის 21 ივნისს სამსახურმა ფირმას გაუგზავნა N16/50595 წერილი და მოითხოვა პოზიციის (ახსნა-განმარტების) წარდგენა სამსახურის მიერ გამოვლენილ ზემოაღნიშნულ გარემოებასთან მიმართებით.

ფირმის მიერ 2023 წლის 27 ივნისს წარმოდგენილი ახსნა-განმარტების (სამსახურში რეგისტრაციის N109227/16, 27.06.2023) თანახმად, [REDACTED] ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის ხელმოწერა და გამოშვება განხორციელდა 2023 წლის 02 მარტს, სამსახურის მიერ ფირმის სდპ უფლებამოსილების საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებამდე, რომელიც განხორციელდა 2023 წლის 6 მარტს. ფირმა აღნიშნავს, რომ 2023 წლის 6 მარტს სამსახურის წარმომადგენლებსა და ფირმის აუდიტის მიმართულების ახალ ხელმძღვანელობას შორის გამართული შეხვედრის ფარგლებში აუდიტის მიმართულების ახალ ხელმძღვანელობას სამსახურის წარმომადგენლების მიერ განემარტა, რომ მხოლოდ ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის გავლის შედეგად არის შესაძლებელი გარიგების პარტნიორმა მოიპოვოს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება და მიმდინარე მდგომარეობით, ასეთი უფლებამოსილება გააჩნდა მხოლოდ თამარ ნაცვლიშვილს (SARAS-A-385937). ფირმის განმარტებით, 2023 წლის 23 მარტს, სდპ უფლებამოსილების საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მანამდე განხილული იყო 2023 წლის 6 მარტს, ფირმამ მიიღო სამსახურის ოფიციალური წერილი N16/24109. ზემოაღნიშნულის შედეგად, ფირმის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად, ფირმამ განახორციელა ყველა საჭირო ქმედება, რათა სდპ სტატუსის მქონე სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების პარტნიორი ყოფილიყო მხოლოდ ის პირი, რომელსაც სამსახურის მიერ დადგენილი წესით მინიჭებული აქვს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება.

ვინაიდან, მონიტორინგის ფარგლებში გარიგებების თაობაზე ფირმის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან (სამსახურში რეგისტრაციის N35547/16, 28.02.2023) გამოვლინდა, რომ სდპ-ის სტატუსის მქონე სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განხორციელდა არაუფლებამოსილი პირის (ფირმის გარიგების პარტნიორი - სრბუი ჰაკობიანი) მიერ, ფირმასთან გამართული შეხვედრისას სამსახურის მხრიდან ყურადღება გამახვილდა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილების ამსახველ საკანონმდებლო მოთხოვნებზე, რომლის ცოდნის/შესრულების ვალდებულებაც აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას წარმოეშვება რეესტრში რეგისტრაციისთანავე, ხოლო ზემოაღნიშნულ ახსნა-განმარტებაში (სამსახურში რეგისტრაციის N109227/16, 27.06.2023) მითითებული N16/24109 წერილით სამსახური ითხოვდა ფირმის წერილობით პოზიციას გარიგების პარტნიორის - სრბუი ჰაკობიანის მიერ სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილებასთან მიმართებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 15 ივნისამდე გარიგებების თაობაზე ფირმის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის (სამსახურში რეგისტრაციის N35547/16, 28.02.2023; სამსახურში რეგისტრაციის N53281/16, 28.03.2023) შესაბამისად, [REDACTED] 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება წარმოადგენდა მიმდინარე გარიგებას და მასზე არ იყო გაცემული შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, გარიგების პარტნიორი წარმოადგენს აუდიტორს, რომელიც აუდიტორულმა ფირმამ კონკრეტული აუდიტის ჩატარებისათვის ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისათვის მთავარ პასუხისმგებელ პირად დანიშნა და რომელიც აუდიტორული ფირმის სახელით

მოქმედებს, ან აუდიტორი, რომელიც ხელს აწერს აუდიტორულ დასკვნას ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს, ხოლო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 220-ის მე-7 („ა“) პუნქტის შესაბამისად, გარიგების პარტნიორი არის პარტნიორი ან ფირმაში მომუშავე სხვა პირი, რომელიც პასუხისმგებელია მოცემულ გარიგებასა და მის შესრულებაზე, ასევე დასკვნაზე, რომელიც გაიცემა ფირმის სახელით და ვისაც, აუცილებლობის შემთხვევაში, სათანადო უფლებამოსილება მინიჭებული აქვს პროფესიული ორგანიზაციისგან, საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ორგანოსგან. ამასთან, კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აუდიტორულ დასკვნას ხელმოწერით ადასტურებს გარიგების პარტნიორი ან/და აუდიტორული ფირმის მიერ უფლებამოსილი პირი. აუდიტორული ფირმის შიდა პროცედურით შესაძლებელი უნდა იყოს გარიგების პარტნიორის იდენტიფიცირება. კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი წესით განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც გაიარა შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი, ხოლო მონიტორინგის წესის 21-ე მუხლის 3^პ პუნქტის თანახმად, სდპ-ისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა და მის გარიგების პარტნიორს, რომელსაც სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიენიჭა სდპ-ისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხოლოდ ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის გავლის შედეგად არის შესაძლებელი გარიგების პარტნიორმა მოიპოვოს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, ხოლო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად განსაზღვრული სდპ-ის სტატუსის მქონე სუბიექტის - [REDACTED] ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების განხორციელებისას ფირმის გარიგების პარტნიორს - შოთა ნანიტაშვილს (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-957146) არ ჰქონდა ზემოაღნიშნული უფლებამოსილება. შესაბამისად, ფირმის მიერ დარღვეულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნა, კერძოდ, არაუფლებამოსილი პირის (ფირმის გარიგების პარტნიორი - შოთა ნანიტაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-957146)) მიერ განხორციელდა ზემოთ აღნიშნული სდპ-ის სტატუსის მქონე სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის V თავით გათვალისწინებულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების (მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების, მე-16 მუხლით განსაზღვრული წესების, მე-19 მუხლით განსაზღვრული ხარისხის მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნების და ამ სისტემის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნების) დარღვევა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის დაჯარიმებას 500-დან 5000 ლარამდე ან/და რეესტრიდან ამოღებას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N5-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის 3^პ პუნქტისა და სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) 2023 წლის 29 ივნისის N62538-16 მოხსენებით ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ფირმა - შპს „დელოიტი და ტუში“ (ს/ნ 204422240, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-107265) დაჯარიმდეს 5 000 (ხუთი ათასი) ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დავალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. წინამდებარე ბრძანება გამოცემიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში გაეგზავნოს ფირმას - შპს „დელოიტი და ტუში“;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, პვეინის ქ. N29 - ბულაჩაურის ქ. N7ა).

თორნიკე ძაგნიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) -მ.შ
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური



<https://edoc.mof.ge/public/#!/408-16-4-202306291423>

